

Ս. ՆԱՆՆԱՆՅՈՐԻ

ՁԴ-ԿՎՈՒՆԻ ԼՍԱԿԻ ՁՅՈՒՑՈՒՄՆԵՐԻ ՄԻՈՒՆԻՍՏՐԱՏԻ ԼՍԿԱՌՈՒՅՅՈՒՄԸ

(ՍՅՈՒՐԻՐ 1896 Ծ., № 6.)

47688



[Handwritten signature]



მე-XVIII საუკ. გეოგრაფიული ცნობანი საქართველოს შესახებ.

ქავართველოს განვითარების ისტორიაში ორი ხანა ფრიად საყურადღებოა. პირველი, „ოქროსი დროის“ წოდებული, გავრძელდა მათე საუკუნიდან მეთორმეტე საუკუნის დასასრულამდე, მეორე ხანა კი შერაცხეს სალიტერატურო მოძრაობას მე-XVIII საუკუნის განმავლობაში. საქმათ არც ერთი ეს საყურადღებო და შესანიშნავი პერიოდი არ არის აქამდის გამოკვლეული და შესწავლილი. აი, ამიტომაც ყოველი მასალა, რაც კი ამ დროის გონებითი და ზნეობითი მდგომარეობის გამომხატვლი და დამსურათებელია, უნდა ანინუნოს და გამოქვეყნდეს. სხვათა შორის საჭიროა შემოიკრიბოს ცნობანი, რა სასწავლო სახელმძღვანელონი და საგნები იყვენ მიღებული ჩვენს სკოლებში. მე-XVIII საუკ. ანტონ კათოლიკოზის გავლენით სემინარიები მოეწყვენ სხოლასტიურ გემანზე, როგორც კიევის კოლეგიუმი და მოსკოვის სლავინურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია. ანტონ კათოლიკოზის მიერ ნათარგმნ წიგნებიდან და თვით მისგან შედგენილ სახელმძღვანელოებიდან აშკარათ თვალსაჩინაა, რომ ფილასოფიას, მეტაფიზიკას, ლეთისმეტყველებას, ლოგიკას, გრამატიკას, ფიზიკას სხოლასტიური მეთოდით ასწავლიდენ. მომეტებული ნაწილი თავს სახელმძღვანელოებისა ანტონმა გადმოიღო ან შეადგინა რუსეთში დაარსებულა აკადემიების წაბამეთ. საკვირველია, რომ გეოგრაფია, რომელმაც უფხი მოიკიდა რუსეთის სასწავლებლებში პეტრე დიდის დროიდან, ანტონ კათოლიკოზს ან არ უთარგმნია, ან თუ უთარგმნია, ჩვენამდის არ მოუღწევია.

ექვს გარეშეა, რომ გეოგრაფიას ჩვენში დაეთმო ისეთივე ადგილი, როგორც დასავლეთ ევროპასა და რუსეთის სასწავლებლებში. რუსეთში სახელმძღვანელონი გადმოიდეს ევროპული ენებიდან, ჩვენში კი რუსული ენიდან. ერთი გეოგრაფიული სახელმძღვანელო მაინც, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, გადმოუღია ბატონიშვილს ვახუშტის (?) მოსკოვში. ეს გეოგრაფია შეიცავს მთელი ქვეყნ-ერების აღწერას და საუკეთესოა წიგნათ იყო მიხიეული რუსეთის სასწავლებლებში სახმარებლათ. თვით ბატონიშვილი (?) გეუწყვებს, რომ მისი საზოგადო გეოგრაფია რუსულიდან არის გადმოღებული: 1) „მოკლედ ქვეუღე-

ბის ლეოლოფია გამოცხადებული და გამოცემული რუსულს ენასა ზა (ან ქართულს ენას ზა) არ დიდის ატლასისა მრთ ვაწყობილი ვასახმარებისათვის ლიშნა-ზიისა იმპერატორულის აკადემიისთვის. სანკთპეტერბურლსა ზა 1745 წელსა. ხოლო ქართულსა ენასა ზა 1752, აგვისტოს 25, შესარულდა მოსკოვის არენას“.

ჩვენ შევადარეთ რუსულ ენაზე გამოცემული მე-XVIII საგეოგრაფიო წიგნებს და მივაგენით იმ სახელმძღვანელოს, რომლიდანაც უთარგმნია ბატონიშვილს ვახუშტის (?). ამ გეოგრაფიას ეწოდება: *Краткое руководство къ географіи въ пользу учащагося при гимназійи юношества въ С.-Петербурѣ 1742 года. Печатано при Императорской Академіи Наукъ.* შედარებამ აღმოაჩინა ცოტაოდენი ცვლილება, რომელიც ვახუშტს (?) მოუხდენია თვის ნათარგმნ წიგნში. გამოტოვებულია სრულებით ის თავი, რომელსაც ეწოდება რუსულათ *Приготовленіе.* აქ ახსნილია, რა არის გეოგრაფია, რუკა 2) და სხვ. (что есть географія? — какимъ образомъ географіи научиться можно? — какъ должно ландкарту предъсобою класть? — какъ называются четыре главныя страны?) შემდეგ რუსულათ მოყვანილია: *ландкарта о земномъ кругомъ, о Европѣ; о Португаліи и гишпаніи, о Франціи* და სხვა სახემწიფოების მოკლე განხილვა რუკით. შემდეგ ამ გვარათვე რუკით ახსნილია: *ландкарта о Азійи, о Африкѣ, о Америкѣ.* ეს ნაწილი გეოგრაფიისა ვახუშტის (?) სრულებით გამოტოვებულია აქვს და პირდაპირ შედგომია მეორე ნაწილის თარგმნას, რომელსაც რუსულათ ეწოდება: *краткая политическая географія къ изясненію издавнаго на російскомъ языкѣ небольшого атласа, сочиненная для употребленія гимназійи при императорской академіи наукъ. Въ С.-Петербурѣ 1745 года.* სწორეთ ეს არის პაქენისა ვახუშტის გეოგრაფიისა. ამ ნაწილის აღბეჭკვა, როგორც ხედავთ, აღნიშნულია 1745 წ. და ვახუშტიც გეუწყვებს, რომ იგი გამოცემულია რუსულათ სანკთპეტერბურლსა შინა 1745 წ. ბატონიშვილი (?) ამასვე უმატებს, რომ იგი თარგმნის „არა დიდის ატლასის მრთ“, ესე იგი გამოტოვებულია აქვს პირველი ნაწილი რუსულათ აღბეჭკილი გეოგრაფიისა, სადაც მოყვანილია გეოგრაფიის მოკლე განხილვა რუკებით (*ландкарты*).

იმ მიზნით, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს მკონხელებისთვის რუსული და ქართული გეოგრაფიის

1) აქვე ვკითხვოდით შქმდეგ ლექსს: *სასუქე სეღქმანისი, უცხოთა შორათ ტომთა იტქენი, ბამქსვი ჰით რათ დამქო, მე ოდენ ვიტქვი იჭრთხისი, დეოდრავისა ეწევი, რა უყო სრულიად უწეენი და ლერქმად-ისიძევე და აწით, შოიგო ესთენ ესენი.*

2) რუსულ დედანში არის მოყვანილნი სრულებით რუკები, რომლითაც სავსა ქართული ნათარგმნი: ქარხან რუკანი საფრანგეთის, დამქანისის, დიდი პრეტანისის, დერქანისის... ზიისის, აფრიკის და სხვ.

შეთანხმება³⁾, ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს შესადარებლათ. გეოგრაფია იწყება შემდეგი სიტყვებით:

Привитовление

Сколько невелика и неважна земля наша, примыкая къ величинѣ находящихса въ далекомъ отъ насъ разстояніи большихъ небесныхъ тѣлъ, въ разсужденіи которыхъ она едва съ наималѣйшею точкою сравнена быть можетъ; столь велика и пространна является она напротивъ того, когда мы иную въ блискомъ разстояніи рассматриваемъ; и должно признать, что въ сочиненныхъ съ наибольшимъ трудомъ книгахъ искуснѣйшихъ географовъ того совершенно неизвѣстно, что на землѣ примыкающей достойное находилось и нынѣ еще находится.

წინაზღვრის დასაბუთებანი

ეთარ არა დიდი და არ ძნელი ქვეყანა ჩვენი შეიცვალევის შრთ მოპოვნე-ბულებთა შორად ჩვენგან განშორებასა შა უფროსთა ცოვანებთა გეამთა, რომელით ვაშინჯულე-ბასა შინა მას ძლიე უფმ-ცირესისა წინწყლისა თა შეთანწრობისა ყოფად ძალუეს: ვითარ დიდი ლე განგრცელებული გამოიჩინებოს იგი პირის პირობასა შა მისსა, ოდეს ჩვენ მას ახლოსთა განშორებ-ბასა შა გაეშინჯავთ; და თანამდებარს ცნობად, რაი დამწყებელთა უფროსებ-თა შრომილთა წიგნებთა შა უმეტეს გამოცდილთა ლეოლრაფთაგან მისთვის შესრულებულათ არა გამოცხადებულარს, რაი ქვეყანასა შა დანიშნულეზანი ღირსეულნი მოიპოვებოდა ლე აწუკარულე მოიპოვებს.

ამ მოყვანილი რუსულ და ქართულ ენაზე დასაწყისი შესავალისა („წინაზე განზაბულებანი — привитовления“) საუცხოვო ნიმუშთა წარსულ საუკუნეში მიღებულ სამეცნიერო ტერმინოლოგიასა. ამ ნაწყვეტს თუ გვერდით ამოვეყენებთ ანტონ კათალიკოზის გრამატიკადან, მეტაფიზიკიდან ან ლეთს-მეტყველებიდან რამდენიმე ადგილს, შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, რა მძიმე, ნაძალადევი და გაუგებარი ენით წერდნ ჩვენი საუკეთესო მეცნიერნი. მთარგმნელს ვაძმოაქეს ქართულათ აზრი კი არა, სიტყვები იმავე წესწყობილებით, როგორც დედანშია. ამ გვარ ნაღვეწ შრომაში ეხედავთ მე-XVIII საუკ. ენის შერყევას და მრულე გზაზე დაღვამას. რამდენათაც ძველი ნაწერები გასაგებია, იმდენათ მე-XVIII საუკ. — ბუნდი და გაუგებარი. მიუღებრუნდეთ ისევე ჩვენს გეოგრაფიას და მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ადგილი შესადარებლათ.

Политическая географія. При первомъ разсмотрѣніи глобуса показываются глазамъ нашимъ двѣ особенныя части, то есть земля и вода, которыя чрезъ общее свое соединеніе круглымъ видъ онаго изъясняютъ.

ქვეულობისა ლეოლრაფია (ანუ ქვეყნის მხაზველთა). პლთ გას-ჩვევისთა სფეროსა იჩენებთან თელთა ჩვენთა ორნი ცალკეობანი წილნი, იგი არს მიწა და წყალი, რომელინი ზოგალათ თვისსა შეთანაერთბამების გამომორგეალი ჩენა მისი გამოცხადებთან.

მოყვანილი მაგალითი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რა უკანონოთ და ქართულ ენასთან შეუხამებელათ ითარგმნება რუსულიდან ეს გეოგრაფია. თუ იგი სახეუმძღვენელოთ იყო მიღებული სადმე, მაშინ უფრო სამწუხაროა ასეთი წიგნის შეტანა სასწავლებელში. სიტყვა-სიტყვით თარგმნამ იქამდის მიღწია, რომ რუსული წინადადების ხასიათი დაცულია, კონსტრუქცია უცხო ენისა ნაძალადევით გადმოიტანილია ქართულში. ჩვენს დროში ევრაიენ ვაბედავს ასე ზრმათ მიჰყევს დედანს და ქართული ენის ხასიათი დაამახინჯოს. ამას შემდეგ, განა კიდევ გვეთქმის, რომ ჩვენი ენა უძველესი დროიდან უცვლელათ დარჩა და არ განვითარდა? განა ენის განვითარება არ არის, როცა აწინდელი მწერლები იმავე აზრს, რომელიც შემომოყვანილ გეოგრაფიაში უფრო მარტივათ, გასაგებათ და კანონიერათ გამოთქამეს, ვიდრე მე-XVIII საუკ. მეცნიერნი?

მთარგმნელს ცვლილება შეუტანია თვის შრომაში იმ ადგილას, რომელიც შეეხება საქართველოს. დამატებას რუსულ დედანთან ჩვენ აღენიშნავთ ხაზგასმკლათ.

Грузія или Гургистанъ (по лат. g. orgia) которая между Чернымъ и Каспійскими морями, въ той сторонѣ лежитъ, гдѣ извѣстныя въ древнія времена провинціи Колхидъ, Албанія и Иверія бывали. Плодородіе сей земли находится неравно, и въ наилучныхъ мѣстахъ приноситъ она довольно хлѣба, овощей, хорошихъ виноградныхъ винъ, хотя тамошніе обиватели и въ шелкѣ, медѣ и разныхъ кожахъ

საქართველო ანუ გურჯისტანი (ლათინებრ გეორგია), რომელი შავსა და კასპიურს ზღვის შს მს კერძოსა შა ძეს, საღუწყებული ძველის ეს: შა სანახები კოლხის ალბანია (აუზაზი (?)) დ იბერია იყოფოდნენ, უდაქდილეთ მთავაკვასი, სმსრით სომსითი, აღმოსაქლოთ სპარსეთი, დასავლით: შავი ზღვა. ნაყოფიერება მის ქვეყნისა მოიპოვების არა თანასწორათა და კეთილ შემთხვეულთა ადგილებთა შა გამოიღებს იგი საქმართა პურსა, ხელსა, კარკას ევენახის ლეინოთა, განამუნებულთა მოსახლეთა აბრაშუმსა;

³⁾ მთარგმნელს დაუმეტებია „სკვანთა ენათა სსკელთა: ასსსს:“; მსგ:ლითათ: აქნა—ოში, ლეია—სეიგანი, ზეუბრი—ნადირა, კრისი—ფორცხური (?), პსტრია—თავიგ:ცო.

также никакова недостатка не имѣютъ. Вышереченные обыватели почитаются по ихъ вѣрѣ за христіанъ, хотя впрочемъ нѣкоторые авторы какъ законъ, такъ и житіе ихъ неочень похваляютъ. Вся обще грузинская земля раздѣляется на Западную и Восточную части отъ первой, то есть Западной части требуютъ Турки защитительнаго права, которое въ разсужденіи послѣдней, то есть въ Восточной части, напротивъ того приписываютъ, хотя оба самодержавнаго владѣнія съ обыкновеннаго у нихъ строгостию, для великаго отдаленія, въ дѣйство производятъ несмѣютъ, опасаясь, дабы грузинца положеннаго на нихъ ига при первомъ случаѣ весьма не отложили.

თათლსა, ცე ლსა და განთვითებულთა ტყავთა შა, ეგრეთვე არაერთარი ნაკლუყანებანი არა აქუსთ. ზეით ქმულნი მოსახლენი ირიცხვიან მათთა სარწმუნოებისაგებრ ქრისტიანებთა წილ, განა მერმელა რაოდენიმე აეთორნა, ვითა რჯულთა, ეგრეთ ცხოვრებასაცა მათთა არა დიად აქებენ. ყოველი ზოგადთ საქართველოს ქვეყანა განიყოფების დასავლეთის ღ აღმოსავლეთის წილსა ზედა. პირველისგან, იგი არს დასავლეთის წილნი ხმარობენ თურქის დამფარელობის მმართველობასა, და რომელსაც სპარსნი თვისსად გაწინჯულებასა შა უყანასენელსა, იგი არს აღმოსავლეთის წილსა შა პირისპირი მისსა მიიწერენ, გინა თუ ორნივე თვითმპყრობელობისა მულღებლნი ჩვეულგებობით მათთა მომჭირნეობისაგან, შორეს განშორებისათვის მოქმედებასა შა ეგრ კადნიერებენ, მოფთხრალენი, რათამცა ქართველნი დადებულსა მათ შა უპირველეს პირველის შეხდომისა თა ყოვლითვე არა გაღანდებოდენ. 4)

ასეთნაირათ დამახინჯებული ენით თარგმანი პირველათ შეგებდა. ამიტომაც ჭეჭი შეგვაქეს, რომ დახელოვნებული, ენისა და მწერლობის მცოდნე ბატონიშვილი ეახუშტი იყოს ავტორი ამ გადმოქართულებული გეოგრაფიისა. მიზანა რუსული დღენისადმი იქამდის მიდის ქართულ ნათარგმნში, რომ „რადწილება ნა... ჩატი“ გადმოღებულია: „განიყოფების.. წილსა ზედა“ ნაწილათ—ის მაგიერათ! მკითხველი ადვილათ აღნიშნავს იმ ადგილებს, რომელიც ენამუშება არამც თუ ჩვენი დროის ენას, არამედ წარსული საუკუნეების გრამატიკულ კანსტრუქციასაც. რადვანაც ამ გეოგრაფიაში, რომელიც მიღებული იყო სახელმძღვანელოთ რუსეთში დიდინის გან-

4) ქარგმა გაუსსელი იქ არის დატოვებული გაუსსელია, სდაც მკითხველი თითონაც ადვილათ მისგდება. მომეტეებულ შემთხვევაში ჩვენ გწერთ ქარგმა ასხნადათ.

მელოზაში, საქართველოს შესახებ ცნობანი მოკლეთ არიან მოყვანილნი, ამიტომ ჩვენ ამოვეწერთ ამ ადგილებს, რომ მკითხველს მიეცეთ საშუალება გასაჯოს, რა წარმოდგენის შედგენა შეიძლება უცხო ქვეყანაში ჩვენი სამშობლოს შესახებ ამ გვარი აღწერით.

До Западной части грузинской земли надлежитъ.

1) Мингрелія (по лат. также Mingrelia) которая земля все древнія времена чрезъ воспріятіе такъ называемыхъ Арганаутовъ, а въ новѣйшіе вѣки чрезъ учрежденной въ разсужденіи онаго воспріятія Кавалерскаго золотого руна, прошла въ славу.

2) Имеретія (по лат. Imerettia) лежитъ далеко отъ морскаго берега и имѣетъ нѣсколько хотя неважныхъ замковъ.

3) Гуріель (по лат. Guria) лежащая у Чернаго моря довольно населенная провинція, которой провинціи владѣлецъ около 50,000 человекъ вооружать можетъ. Въ надлежащихъ до оной городахъ Гуріель и Гуріѣ содержатся обыкновенно Турецкіе гарнизоны.

დანარჩენ ცნობასაც ამავე გეოგრაფიიდან საქართველოს შესახებ მოვიყვან მხოლოდ ქართულ ენაზე, რადგანაც ზემოთ ამოწერილობა ადგილმა საკმაოდ

დასავლეთის წილი საქართველო ქვეყანა განიყოფის იმერეთსა და სამცხესა ანუ შესსა. ოღონი ანუ მეგრელი (ლათინებრ ეგრეთვე მინგრელია) რომელი ქვეყანა ძველსა ჟამსა შა მიღების გამო ევრედ წოდებულთა არღანაუთთა და ახალს საუკუნოსა შა განწესებულის გამო გაწინჯულებასა შა მის მიღებულისა კავალერის რიგისა ოქროს საწმისისა მოვიდა დიდებასა შა და არს ნაყოფიერი ქვეყანა და ჭყუს თვისი ბატონი.

იმერეთი (ლათინებრ იმერეთთია) ძეს ოდიშის და გურჯიის აღმოსავლს კუჩქით არ შორს განშორებასა ზღვისკან და აქენს რაოდენიმე ციხენი და ნაყოფიერ არს ყოვლითვე; რომლისა მუხატრანისსა სულქვესენი არიან სამნი წინსხენებულნი ქვეყანანი და სამთა ამათ ქვეყანათა შა ქალაქთა და ციხეთა რაოდენთამე დაიპყრობენ თურქთა გულშანი.

გურია 5) (ლათინებრ გურია) მდებარე შავის ზღვის სამხრეთის კიდესა შა მესამზღვრე ოდიშის ღ სამცხისა და არს საკმაოთ ნაყოფიერ ყოვლითვე, რომელსა ჰყავს თვისი ბატონი.

5) ეს ნათარგმნი აქ დანახან შეცვლილი და ზოგან შექოკლებულია.

გაგაცნო, როგორ თარგმნის უცნობი ავტორი რუსულ დედანს. ხაზგასმული ცნობანი რუსულათ არ მოიპოვებინა.

„სამცხეს უძეს აღმოსავლეთ ქართლი, სამხრით სომხითი, ჩდილოთ იმერეთი და დასავლეთ შვიი ზღვა და აზრუმი მას შა არს. ასლდისე, არა დიდი მოზღუდევილი, აქუს ცხესე გუშავითა თუშქითა ქალაქი, ავითა შუშქო და ნაყოფიერი ყოვლითევე, ზის მას შა ფაშა ქართველის გვარისა, რომელნი მკჷმადან იქმნენ 1625 წელს შდ ეს შობისა და გლეხნი ვუქრეთ ქრისტიანენი არიან.

აღმოსავლეთის საქართველოს ქვეყანა განიყოფის ორათ ქართლი და კახეთი (ლათინებრ კარლუელია და გაგეთი) და ორნივე არიან სპარსეთის ფლობასა ქვეშე. და კახეთს უძეს ჩდილოთ და აღმოსავლით კავკასის მთა და დლისტანი, სამხრით შირვანი და დასავლით ქართლი და ყარაბაღი და არს ნაყოფიერი ქვეყანა, არამედ 1616 წელსა შა სპარსეთის შაბაზზოახრა და მიერით არა რაი არს ქალაქი

და ციხე, გინა უწინარეს ყოფილინია და მოსახლობენ მდაბიურ⁶⁾ და ჰყავს თვისი მეპატრონე.

ქართლს უძეს ჩდილოთ კავკასიის მთა, აღმოსავლით კასეთი და ყარაბაღი, სამხრით სომხითი და დასავლეთ იმერეთი და სამცხე. მას შა არს: ტფილისი (ანუ თფილისი) ლათინებრ თეფლისი. ესე ძველს ყამსა შა სახელით. არაკასთისა წოდებული ქალაქი, ძეს მზიარულსა და ნაყოფიერსა ადგილსა და გამაგრებულ არს მაგრითა ციხითა. აღიდეს თურქთა⁷⁾ 1727 წელსა შა და არს ქართველთა და სომეხთა ამას ქალაქსა შა ეკლესია 14 მუნ დის ცხელი წყალი, რომლისაგან არიან აპანთი კარგნი. გორი (ლათინებრ კორი) მზიარული, ჰავითა ძემკრე და ნაყოფიერს ადგილს მაგრითა ციხითა მდგომარე ქალაქი.“

ა. სსსნაშვილი.

6) დედანში არ არიან აღნიშნულნი საზღვრები კასეთისა და გადმოგვცემს: Кавхетская провинция находится отъ большей части пуста и почти всеъ обыватели оныя живутъ въ кибиткахъ.

7) დედანში: лежитъ у Дагестанскихъ границъ, укрѣпленъ замкомъ, который въ 1727 г. отъ турковъ взять.

სსსნაშვილი 1896 წ. № 6.

სსვა-და-სსვა გვარი საცნაწველი და სასაწველი იარაღები.

საშუალო საუკუნოებში, როცა მთელი ევროპა უმცირებისა და უღიმობლობის ბურთუსში იყო გახვეული, დამნაშავეთ სასტიკათ ტანჯავდენ და სჯიდენ. ზოგი ამ სატანჯველთაგანი ისეთია, რომ ახლაც მნახველს ჟრუანტელს მოჰვერის და ცახცახს დაწყებებებს. ბევრი ამ სატანჯველ იარაღთაგანი დღემდე შენახულია მიუნხენის მუზეუმში. ზოგი სასაწველი კი ისეაა რა, რომ ამით დამ-

ნაშავე უჯრო ზნეობრივ დამცირებს გრძობდა. მოქციეფე და ლოთ კაცებს აცმეფდენ ხოლმე ისეთ ტანისამოსს, რომელზედაც გამოხატული იყო ყველა მათი მოქმედება. მოჩხუბარ დიაკთ კი გაყოფინებდენ ხელსა და კისერს ისეთ ფიცარში, რომ მათ შეეძლოთ ერთმანეთი ელანძლათ და ეგინებიათ, მაგრამ ხელს კი ვერ მოიხმარდენ. ცუდ ყოფა-ქცევის ქალიშვილებს გაუქციებდენ ხოლმე ჩაღის ნაწვენებს და ჩაღისავე გვირგვინს დააღვამდენ თავზე. ბანქოს მოთამაშეთ აცმეფდენ ტანისამოსს, რომელზედაც გამოხატული იყო ბანქო და ყველაფერი, რაც ბანქოს სათამაშოთ საქირაო.



91
b 341